ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
2024 წლის 23 მაისის N01-10/ 60 ბრძანების
დანართი N1

ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის პერსონალის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. წინამდებარე დოკუმენტი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში – ,,უნივერსიტეტი" ან ,,ბსუ") დამხმარე სტრუქტურული ერთეულის - ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის (შემდგომში - ,,დეპარტამენტის") დამხმარე თანამდებობაზე დასაქმებისათვის ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შეიძლება დეპარტამენტში დასაქმებისათვის განისაზღვროს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკისა და ბსუ-ს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად.
3. **დეპარტამენტის უფროსის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:**
   3.1. **განათლება:** <u>არანაკლებ</u> მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
   3.2. **სამუშაო გამოცდილება:** სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, მათ შორის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წელი <u>(უპირატესობა ენიჭება</u> უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილებას).
   3.3. **სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები:**

<u>საკანონმდებლო სამართლებრივი აქტებიდან:</u>

ა) საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ";

ბ) საქართველოს კანონი ,,პროფესიული განათლების შესახებ";

<u>კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებიდან:</u>

გ) ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების <u>ავტორიზაციის დებულებისა</u> და საფასურის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;

<u>ბსუ-ს სამართლებრივი აქტებიდან:</u>

დ) ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი და დეპარტამენტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა რეგულაციები;

   3.4. **ენები/უნარები:**

ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;

ბ) <u>უცხო ენის</u> ცოდნა: ინგლისური - **არანაკლებ B1 დონე** (სასურველია ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა);

გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;

დ) <u>უნარები:</u> პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; პროცესების მართვის/ადმინისტრირების უნარი; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; დაგეგმვა, ვადებზე ორიენტირებულობა და ორგანიზებულობა.

4. **დეპარტამენტის კარიერული განვითარების და მხარდაჭერის განყოფილების უფროსის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:**

4.1. **განათლება:** არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;

4.2. **სამუშაო გამოცდილება:** მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება (უპირატესობა ენიჭება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილებას).

4.3. **სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები:**

საკანონმდებლო სამართლებრივი აქტებიდან:

ა) საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ";

ბ) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ";

კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებიდან:

გ) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;

ბსუ-ს სამართლებრივი აქტებიდან:

დ) ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი; და დეპარტამენტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა რეგულაციები;

4.4. **ენები/უნარები:**

ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;

ბ) უცხო ენის ცოდნა: ინგლისური - **არანაკლებ B1 დონე** (სასურველია ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა);

გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;

დ) უნარები: პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; პროცესების მართვის/ადმინისტრირების უნარი; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; დაგეგმვა, ვადებზე ორიენტირებულობა და ორგანიზებულობა.

5. **დეპარტამენტის კულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:**

5.1. **განათლება:** ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;

5.2. **სამუშაო გამოცდილება:** მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება (უპირატესობა ენიჭება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილებას).

5.3. **სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები:**

საკანონმდებლო სამართლებრივი აქტებიდან:

ა) საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ";

ბ) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ";

ბსუ-ს სამართლებრივი აქტებიდან:

გ) ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი და დეპარტამენტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა რეგულაციები;

5.4. **ენები/უნარები:**

ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;

ბ) უცხო ენის ცოდნა: ინგლისური - არანაკლებ A2 დონე (სასურველია ინგლისური ენის B1 ან მაღალ დონეზე ფლობა);

გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;

დ) უნარები: პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; პროცესების მართვის/ადმინისტრირების უნარი; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; დაგეგმვა, ვადებზე ორიენტირებულობა და ორგანიზებულობა.

6. **დეპარტამენტის** კარიერული განვითარების და მხარდაჭერის განყოფილების მთავარი სპეციალისტის/წამყვანი სპეციალისტის **ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:**

6.1. განათლება: არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

6.2. სამუშაო გამოცდილება: მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება (უპირატესობა ენიჭება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში/ბსუ-ში მუშაობის გამოცდილებას).

6.3. სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები:

საკანონმდებლო სამართლებრივი აქტებიდან:

ა) საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ";

ბ) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ";

ბსუ-ს სამართლებრივი აქტებიდან:

გ) ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი; ასევე დეპარტამენტის/განყოფილების საქმიანობის მარეგულირებელი რეგულაციების ცოდნა;

ენები/უნარები:

ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;

ბ) უცხო ენის ცოდნა: არანაკლებ B1 დონე (სასურველია ინგლისური ენის B2 ან მაღალ დონეზე ფლობა);

გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;

დ)უნარები: პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების, ლოგიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; ვადებზე ორიენტირებულობა და ორგანიზებულობა.

7. **დეპარტამენტის** კულტურისა და სპორტის განყოფილების მთავარი სპეციალისტის/**წამყვანი სპეციალისტის** ძირითადი **საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:**

7.1. განათლება: არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

7.2. სამუშაო გამოცდილება: მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება (უპირატესობა ენიჭება სპორტის ან/და კულტურის მიმართულებით/ბსუ-ში მუშაობის გამოცდილებას);

7.3. სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები:

ბსუ-ს სამართლებრივი აქტები: ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი; ასევე დეპარტამენტის/განყოფილების საქმიანობის მარეგულირებელი რეგულაციების ცოდნა;

7.4. ენები/უნარები:

ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;

ბ) უცხო ენის ცოდნა: **არანაკლებ A2 დონე (სასურველია** ინგლისური ენის **B1 ან მაღალ** დონეზე ფლობა);

გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;

დ) უნარები: პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; გუნდური მუშაობა; ვადებზე ორიენტირებულობა.